იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის

დებულება პროფესიული განათლების შესახებ

ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:

ოქმი N 11 30.11. 2016 წ.

ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:

ოქმი N 11 24. 02. 2017 წ. ოქმი N 5 24. 12. 2017 წ.

ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:

ოქმი N 34 10. 08. 2018 წ.

ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:

ოქმი N 17 10. 08. 2021 წ.

ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:

ოქმი N 21 29.09.2022 წ.

ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:

ოქმი N 5 15.02.2023 წ.

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე:

ოქმი N 9 16. 12. 2016 წ.

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე:

ოქმი N 3 10. 03. 2017 წ. ოქმი N 4 19. 02. 2018 წ.

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე:

ოქმი N 11 14. 08. 2018 წ.

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე:

ოქმი N 5 02. 11. 2021 წ.

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე:

ოქმი N 9 30.09.2022 წ.

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე:

ოქმი N 2 15.02.2023 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: /პროფესორი მ. ღარიბაშვილი/

თ ე ლ ა ვ ი 2016

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე:

ოქმი N 3 10. 03. 2017 წ. ოქმი N 4 19. 02. 2018 წ.

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე:

ოქმი N 11 14. 08. 2018 წ.

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე:

ოქმი N 5 02. 11. 2021 წ.

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე:

ოქმი N 9 30.09.2022 წ.

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე:

ოქმი N 2 15.02.2023 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: /პროფესორი მ. ღარიბაშვილი/

თ ე ლ ა ვ ი 2023

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირში - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში თესაუ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ დებულების მუხლებს, აგრეთვე პროგრამების განხორციელების წესსა და პირობებს.

2. პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ამ კანონს და სხვა ნორმატიულ აქტებს.

(საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ მუხლი 3).

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს კონკურენტ-უნარიანი და კვალიფიციური კადრების მომზადება პრაქტიკული ხასიათის პროფესიული საქმიანობისათვის.

4. პროფესიული განათლება იყოფა ფორმალურ და არაფორმალურ პროფესიულ განათლებად და მოიცავს 5 საფეხურს.

5. თესაუ ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს სწავლების მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურებზე. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

6. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. აკრედიტაცია – აკრედიტაციის სტანდარტებთან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურა, რომლის მიზანია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა და რომელთანაც დაკავშირებულია ამ კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ასევე სახელმწიფო დაფინანსების მიღება;

2. პროფესიული ტესტირება – პროცედურა, რომელიც ადგენს პირის მზადყოფნას სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისათვის;

3. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო – დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, მათ შორის, პროფესიული განათლებისა და სპეციალური პროფესიული განათლების კვალიფიკაციებს;

4. პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო – ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული პროფესიული განათლების შესაბამისი ყველა კვალიფიკაცია;

5. კვალიფიკაცია – პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დონე, რომელიც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული პროფესიული დიპლომით;

6. კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

7. პროფესიული სტანდარტი – დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული განათლების საფეხურები, მათი მინიმალური მოცულობა კრედიტებში და თითოეული საფეხურისათვის სავალდებულო ცოდნა, უნარები და ღირებულებები, ასევე დგინდება პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები;

8. პროფესიული სტუდენტი – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. პროგრამა აერთიანებს კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს/მოდულებს. მასში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები;

10. რეგულირებადი პროფესია – პროფესია, რომლითაც საქმიანობის განსახორციელებლად პირმა უნდა მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმალური განათლება და ჩააბაროს შესაბამისი სასერტიფიკაციო გამოცდა;

11. სპეციალისტი – პირი, რომელსაც მიენიჭა პროფესიული განათლების ერთ-ერთი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი;

12. სპეციალური პროფესიული განათლება – განათლება, რომლის მიზანია პირის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ან/და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალებში მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება;

13. ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა – საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიზანია არაქართულენოვანი პირების მიერ ქართული ენის ცოდნისა და შესაბამისი უნარების შეძენა იმ დონეზე, რომელიც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაძლევად;

მუხლი 3. პროფესიული განათლების მიზნები

საქართველოში პროფესიული განათლების მიზნებია:

ა) ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით;

ბ) ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

გ) შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა;

დ) ინდივიდის დასაქმების, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ თვითდასაქმების, ხელშეწყობა;

ე) პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა.

(საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
მუხლი 5-დან).

მუხლი 4. პროფესიული განათლების მიღების უფლება

1. პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, უფლება აქვს, მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად.

2. პროფესიული განათლების მიღების უფლების რეალიზების მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობით გამართოს კონსულტაციები პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირებთან პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების, მომავალი პროფესიული საქმიანობისა და დასაქმების პირობების შესახებ.

მუხლი 5. პროფესიული განათლების საფეხურები

გ) III საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, განსხვავებულ სიტუაციებში შეასრულოს თავისი მოვალეობები და ადეკვატურად იმოქმედოს წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად;

დ) IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, პროფესიული ცოდნა გამოიყენოს ცვალებად სიტუაციებში წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად, ზედამხედველობა გაუწიოს სხვების საქმიანობას და აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და გაუმჯობესებაზე;

ე) V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც მოითხოვს სხვათა სამუშაოს დაგეგმვასა და ხელმძღვანელობას, ასევე განხორციელებული სამუშაოს შეფასებასა და სრულყოფას.

2. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

მუხლი 6 . პროფესიული განათლების მასწავლებელი

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების, ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
2. IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
3. შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები.

მუხლი 6[1]. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მასწავლებლის მიღების წესი

1. საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ", პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
2. IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
3. პროფესიული განათლების მასწავლებელი ინიშნება:
   უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, პირადი განცხადებისა და პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, რითაც სამსახური ადასტურებს პირის შესაბამისობას დასაკავებელ თანამდებობასთან, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე / ან კონკურსის წესით. პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში, ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ასევე შესაძლებელია სხვა საინფორმაციო საშულებით ინფორმაციის გამოქვეყნება.
4. კონკურსის ჩატარების პირობები და წესი განისაზღვრება კონკურსის ჩატარების შესახებ ბრძანებით.
5. სამსახურში მისაღებად პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია წარმოადგინოს:
   ა) განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე;
   ბ) cv;
   გ)ორი ფოტოსურათი 3x4;
   დ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმეტის ასლი.
   ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების *მასწავლებელთან იდება შრომითი* ხელშეკრულება;

7. პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს:
ა) პირადი განცხადება;
ბ) რექტორის ბრძანება;
გ) შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვა;
დ)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება;
ე)კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის შიდაგანაწესთან შეუთავსებელი ქმედება.

8. უნივერსიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის არსებობის შემთხვევაში, ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად რექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი. კონკურსის ჩატარების პირობები და წესი განისაზღვრება კონკურსის ჩატარების შესახებ ბრძანებით.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წინაპირობები

1. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა III, IV და V საფეხურების პროფესიულ პროგრამებზე ხორციელდება მათზე კანონმდებლობით და პროფესიული სტანდარტით დადგენილი დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის და შემდგომში პროფესიული ტესტისათვის გათვალისწინებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის , ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე.

2. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გასავლელად პირი ვალდებულია ელექტრონულად დარეგისტრირდეს და შემდგომში წარმოადგინოს:
2.1პირადი განცხადება (ნიმუში),
2.2პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი,
2.3ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დამადასტურებელი დოკუმენტი,
2.4სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი,
2.5ფოტოსურათი (3X4).

2[1].პროფესიულ სტუდენტთან ფორმდება ხელშეკრულება,ხოლო იმ შემთხვევაში,თუ სტუდენტი არასრულწლოვანი ან მხარდამჭერის მიმღები,ან შეზღუდულქმედუნარიანია,ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ან მხარდამჭერი.სტუდენტმა უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან მხარდაჭერის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების ასლი,რაც დაერთვება ამ დებულების მე-7 მუხლის 2.2 პუნქტში ჩამოთვლილ დოკუმენტებს და განთავსდება სტუდენტის პირად საქმეში.
(განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე ოქმი №34 10.08.2018წ.)
(დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №11.14.08.2018წ.)

3. პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად: საქართველოში დადგენილი წესით და შიდა საუნივერსიტეტო რეეგულაციით.

მუხლი 8 . პროფესიული სტუდენტის მობილობა

1. პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში და მის ფარგლებში ერთი პროფესიული ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის პროცედურას.

2. გარე მობილობისა და შიდა მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის პროფსიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პროფესიული სტუდენტი.

3. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

4. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში. ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება, არაუმეტეს 25%-ით, დასაშვებია იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომელთა დაწესებულებები ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ან დაწესებულებამ დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ან გაუვიდა ავტორიზაციის ვადა.

5. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.

6. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

7. გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი,ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს იმავე დაწესებულებას.განცხადებაში მითითებული უნდა იყოს იმ პროგრამის სახელწოდება,რომელზეც პირს სურს გადასვლა.მობილობის მსურველი პირი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში წარადგინოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ინფორმაცია განვლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

8. მიმღები დაწესებულება უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.

9. მობილობის მსურველი პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობა შესაძლებელია გახდეს პირის მობილობაზე უარის თქმის საფუძველი.

10. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

11. დაწესებულების მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის შედარების მიზნით დაწესებულების ხელმძღვანელი ქმნის სპეციალურ კომისიას.კომისიის დასკვნა აღნიშნულის თაობაზე გადაეცემა დაწესებულების ხელმძღვანელს.დაწესებულების ხელმძღვანელი კომისიის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მობილობის მსურველი სტუდენტის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.

12. დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

ა)დაწესებულებას არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

ბ)დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;

გ)მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

13. აღიარება ფორმდება დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში – იმავე დაწესებულების სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

14. დაწესებულება, ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე და ინფორმაციას

კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სისტემაში. სისტემის მონაცემების საფუძველზე ის დაწესებულება, საიდანაც გადადის პროფესიული სტუდენტი, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში ის დაწესებულება, რომლის ერთი პროგრამიდან სხვა პროგრამაზეც გადადის პროფესიული სტუდენტი, გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სისტემაში.

15. პროფესიული სტუდენტის მობილობის/შიდა მობილობის შემთხვევაში ვაუჩერული დაფინანსების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №224 დადგენილებით ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე".

(განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე ოქმი № 17, 21.10.2021წ.)
(დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №5, 02.11.2021წ.)

(განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე ოქმი № 5, 15.02.2023წ.)
(დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი № 2, 15.02.2023წ.)

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები;

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება:

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება:

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცახდება;
ბ) ფინანსური და აკადემიური დავალიანება;
გ) ადმინისტრაციული რეგისტრაციის არ გავლა;
დ) აკადემიური შვებულება;
ე) პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების რაოდენობის 30%-ის(არასაპატიოდ) გაცდენა;
(განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე ოქმი №34 10.08.2018წ.)
(დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №11. 14.08.2018წ.)

2. აკადემიური შვებულების გაფორმების საფუძველია:

ა) ავადმყოფობა, რომელიც ხანგრძლივი დროით იწვევს პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესისგან ჩამოშორებას, დადასტურებული ექიმის მიერ;
ბ) უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როცა განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რომელიც შეუძლებელს ხდის პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის გაგრძელებას;
დ) საზოგადოებრივი საქმიანობის, სპორტის თუ ხელოვნების სფეროში მოღვაწე სტუდენტების საქართველოს, რეგიონული თუ საერთაშორისო ტურნირებში, საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებში მონაწილეობის მიღების მიზნით ხანგრძლივი დროის განმავლობაში მომზადება, რაც შეუძლებელს ხდის სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღებას;
ე) მეურვედ ან მზრუნველად დანიშვნა;
ვ) ორსულობა, მშობიარობა და ახალშობილის მოვლა;
3. სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, პროფესიული სტუდენტი უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს წერილობით განცხადებას.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა:

1.პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის წინაპირობაა:
ა) პირადი განცხადება;
ბ) პროფესიული სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, თუ სტატუსის შეჩერების საფუძველი ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობა იყო;
გ) აკადემიური შვებულების გაფორმების მიზეზის აღმოფხვრა, თუ პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა აკადემიური შვებულების გაფორმების გამო.

2. პროფესიული სწავლების პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვიდან შესაბამისი პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობის განმავლობაში სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობები წარიმართება მათ შორის პროფესიული სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობის ვადის გასვლის შემდეგ, სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას პროფესიულ სტუდენტთან გააფორმოს ახალი ხელშეკრულება აღდგენის პერიოდისთვის დადგენილი პროფესიული პროგრამის საფასურის გათვალისწინებით.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან არაუმეტეს 5 წლისა. სხვა პროფესიულ პროგრამაზე აღდგენის შემთხვევაში, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში/პროფესიული პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების კომისიის მიერ სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის საფუძველზე, შეიძლება განისაზღვროს დამატებითი კომპონენტების გავლის აუცილებლობა.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის 5 წელზე მეტი ხნით შეჩერება;
ბ) შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
გ) პირადი განცხადება;
დ) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლა.

(განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე ოქმი № 21, 29.09.2022წ.)
(დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი № 9, 30 .09.2022წ.)

(განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე ოქმი № 5, 15.02.2023წ.)
(დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი № 2, 15.02.2023წ.)

მუხლი 10. სასწავლო პროცესი

1.პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობა პროფესიული პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე განისაზღვრება 2-24 თვემდე.

1. **სწავლების ენა**

სწავლების ენაა ქართული.

2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშება, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა) და მიღწევების შეფასება**

1) კრედიტების განაწილება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებს/მოდულებს შორის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.

2) პროფესიული სტუდენტის დატვირთვა აისახება კრედიტებში. ერთი კრედიტი 25 ასტრონომიული საათია. პროფესიული სტუდენტის დატვირთვა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სილაბუსით და თეორიის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს: საკონტაქტო დროს, პროფესიული სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობასა და ცოდნის შეფასების კომპონენტების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

3) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკულ მეცადინეობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 ასტრონომიულ საათს.

4) პროფესიული პროგრამის კომპონენტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კომპონენტი შედგება მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი ელემენტებისგან:

ა) ლექცია
ბ) სამუშაო ჯგუფში მუშაობა
გ) შუალედური გამოცდა
დ) დასკვნითი გამოცდა

5) დასაშვებია როგორც პრაქტიკის კომპონენტის ინტეგრირება სასწავლო კომპონენტში, ისე მისი ცალკე შეთავაზება.

6) პროფესიული პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, რომელიც სწავლის განმავლობაში პროფესიული სტუდენტის ცოდნის ეტაპობრივად შეფასების საშუალებას იძლევა.

7) კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს:
ა) ყოველკვირეულ შეფასებას, რომლის მიზანია, პროფესიულმა სტუდენტმა თანაბრად აითვისოს ლექტორის მიერ ყოველკვირეულად მიწოდებული მასალა და სისტემატიურად იმუშაოს სასწავლო კურსზე. ამ მიზნიდან გამომდინარე, ის სხვადასხვა სახისაა:
ა) წერითი გამოკითხვა,
ბ) საშინაო დავალება,
გ) ზეპირი გამოკითხვა და სხვა აქტივობა, რომელიც ცოდნის ყოველკვირეული შეფასების შესაძლებლობას იძლევა.
ბ) ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობა,
გ) შუალედური გამოცდა,
დ) დასკვნითი გამოცდა.

8) ლექციის გაცდენის შემთხვევაში ყოველკვირეული შეფასება (ქვიზი) აღდგენას არ ექვემდებარება.

9) ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობის ქულა პროფესიულ სტუდენტს შეიძლება მიეცეს ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობისათვის.

10) შუალედური გამოცდის მიზანია პროფესიული სტუდენტის ცოდნის ეტაპობრივი შეფასება.

11) კომპონენტის ათვისების საბოლოო შეფასება ხორციელდება დასკვნითი გამოცდით, რომელიც გულისხმობს კომპონენტში სემესტრის განმავლობაში მიღებული ცოდნისა და უნარების სრულ შეფასებას. გამოცდა არის წერითი, თუმცა კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება შეიცავდეს ზეპირ ან პრაქტიკულ კომპონენტსაც.

12) შუალედური და დასკვნითი გამოცდა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს.

13) პრაქტიკული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები დგინდება შესაბამისი პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარების მეშვეობით.

14) **შეფასება:**
ა) უნივერსიტეტში მოქმედებს 100 ქულიანი (100%-იანი) შეფასების სისტემა.

ბ) სასწავლო კურსი დაძლეულია 51 ქულის (51%) მიღების შემთხვევაში.
გ) პროფესიული პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეიძლება შეფასდეს: შუალედური (ყოველკვირეული შეფასება (ქვიზი), ლექციებზე დასწრება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და შუალედური გამოცდა) და დასკვნითი შეფასებებით. შეფასება შეიძლება ეყრდნობოდეს:

დ) ყოველკვირეულ შეფასებას ;
ე) ლექციებზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
ვ) შუალედურ გამოცდას;
ზ) დასკვნით გამოცდას;
თ) პროგრამისა და საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეფასება შეიძლება მოხდეს სხვა ფორმებითაც.
ი) პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ პროფესიულმა სტუდენტმა ვერ მიიღო დასკვნითი გამოცდის ჩაბარებისათვის დადგენილი მინიმალური ქულა, მაგრამ გამოცდამდე დაგროვილი ჰქონდა 41 ქულა და ზევით. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 10 დღეში.
კ) დამატებით გამოცდაზე დაშვება ასევე პროფესიული სტუდენტი, რომელმაც დასკვნითი გამოცდის ჩაბარებისთვის დადგენილი მინიმალური ქულა მიიღო, მაგრამ ვერ დააგროვა 51 ქულა, მაგრამ დააგროვა მინიმუმ 41 ქულა.

ლ) შეფასებათა კრიტერიუმები:

ქულა	შეფასება	დადებითი შეფასება
91-100	A	ფრიადი
81-90	B	ძალიან კარგი
71-80	C	კარგი
61-70	D	დამაკმაყოფილებელი
51-60	E	საკმარისი
		უარყოფითი შეფასება
41-50	FX	ვერ ჩააბარა
<40	F	ჩაიჭრა

მ) დამატებითი გამოცდა დაუშვებელია ჩატარდეს ძირითადი გამოცდის ჩატარებიდან 10 დღეზე ადრე. გამოცდაზე გასვლის მსურველმა განცხადებით უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგების გამოქვეყნების დღე ითვლება პირველ დღედ.
ნ) კომპონენტში პროფესიული სტუდენტის შეფასებისას საბოლოო ქულა მრგვალდება მთელ რიცხვამდე. ხუთი მეათედი ან ხუთი მეასედი მრგვალდება მეტობით.

15) **პროფესიული პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში,** კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტით ან/და მოდულით.
(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება # 68/ნ (2015 წლის 10 ივლისი) ,,მუხლი 4 /1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში).

კერძოდ :

ა) შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი;

ბ) განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით;

გ) განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

1) სწავლის შედეგი დადასტურდა
2) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

დ) განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია მოითხოვოს სწავლის შედეგის მიღწევის დამატებითი შეფასება შედეგის ვერ დადასტურებიდან ან მოდულის დამთავრებიდან 10 დღის შემდეგ.

ე) დამატებითი შეფასების შემთხვევაში, უარყოფითი შედეგის მიღებისას, პროფესიულ სტუდენტს უჩერდება სტუდენტის სტატუსი.

ვ) შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

ზ)დაუშვებელია პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმების გარეშე, შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

თ) კრედიტის ათვისება შესაძლებელია მხოლოდ მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურების შემდეგ.

მუხლი 11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა

1. პროფესიული პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც უნდა მოიცავდეს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროფესიული პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ დამსაქმებლებთან, რესურსების ანალიზსა და კონსულტაციას ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.
2. შემუშავებული პროფესიული პროგრამა განიხილება პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რის შემდეგაც წარედგინება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ექსპერტიზისათვის.

ამის შემდგომ, პროგრამა წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად და შემდგომში საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენად სააკრედიტაციო/საავტორიზაციო პროცედურების გასავლელად.
(განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე ოქმი №5 24.12.2017წ.)
(დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №4.19.02.2018წ.)

3. პროფესიული პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეთვლება როგორც მოდიფიცირებამდე, ისე მოდიფიცირების შემდგომ გავლილი კომპონენტი. პროგრამების გაერთიანების შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს რომელიმე მიმართულება, ჩარიცხული სტუდენტები აგრძელებენ სწავლას მილევად რეჟიმში.
4. პროფესიულ პროგრამაში, რომელიც არ ითვალისწინებს კომუნიკაციის უნარის განმავითარებელი კურსების შეთავაზებას (უცხოური ენა, ინფორმაციული ტექნოლოგიები), სხვა კომპონენტებში ინტეგრირების გზით უნდა ახდენდეს ამ უნარის განვითარებას.

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში:

ა) დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 3 70/ნ, 2015 წლის 10 ივლისი, მე-6 მუხლის ,,ა,, ქვეპუნქტი)

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.(იმავე ბრძანების ,,გ,, ქვეპუნქტი;

გ) ,,საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კველიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;

დ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელსეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით,,(გ და დ პუნქტების გაწერის საფუძველი: (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 3 70/ნ, 2015 წლის 10 ივლისი, მე-8 მუხლის ,,ბ,, და ,,გ,, ქვეპუნქტები)

მუხლი 12. პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია

1. პროფესიული მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. IV საფეხურის

კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიულ მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

2. პროფესიული მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

3. შესაძლებელია, რიგი სასწავლო კურსების სწავლება, რომლებიც ორიენტირებული თეორიული ცოდნის მიღებაზე, წარმართოს უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა.

მუხლი 13.კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულმა სტუდენტმა წარმატებით დაძლია პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი.

პროფესიულ სტუდენტს ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და ეძლევა ამ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: /პროფესორი მ. ღარიბაშვილი/